№ 17. 1870. № 17.

სეკდემბრის 1

# გუთნის-დედა

დაბარება შეიძლება ტფილისიდგან ი. მარტიროზოვის სტამბაში, ხიდზედ, მირზოევის შენობაში·

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცალკე ვინც დაიბარებს ორი მანათი:

მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი

წელიწადი მეცხრე.

## ბანბის მოყვანა.

მინამდისინ ვიტყოდე რასმე ბანბის მოყვანაზედ, უნდა თავ და პირველადა ვსთქვა, თუ რა იყო მიზეზი რომ დავსწერე ეს სტატია:

ბანბის მოყვანის სტატია ესე შევადგინე, ზოგი ერთის მებატონეების თხოვნით, რომელნიცა სცხოვრებენ

ყირიმის ნახევარ კუნძულზედ, სადაცა არ იციან ბანბის მოყვანის ჴელი. უნდა გამოტუდომითა ვსთქჳა, რომ მრიელ მიჭირდებოდა ამ სათხოვარის აღსრულება, რადგანაც კარგათ მესმის ამ საგნის მაღალი მნიშვნელობა და ამასთანავე სიძნელეცა. მე ვიცოდი რომ, ამ ჩემის სტატიის შედგენიოგან წარმოდგებოდა ზიანიცა და სარგებლობაცა იქაურის მებატონეებისათჳს, ამისათჳს მრიელ ვიშიშვიდი ამ საქმის შედგომილებასა, რომელიცა ჩემთჳს არის ახალი, რადგანაც ამ გვარი აქამომდენ არცარა დამიწერიარა და არცარა გამამიციარა, ამასთანავე ესეც უნდა სწორეთა ვსთქჳა, რომ ამ საქმის გარემოება ჯერ კიდევ კარგა შემუშავებით და სრულებით არ მესმის, რადგანაც ჩემს მამულში აქამდისინ ჯერ კიდევ ბანბა მომყავს, მრიელ ცოტა ზომის მიწაზედ, და არცა დიდი უკან დევნა უნდოდა, რადგანაც ის მიწა, რომელზედაცა მამყვანდა ბანბა არის სარწყავი. ბანბის შესახებ ჴელთ მძღვანელი წიგნი რომელიცა მედვა წინ და ვკითხულობდი, უნდა გამომეცადნა საქმით და მერმეთ ისე გადამეცა სხვებისათჳსაც, ამისათჳს გადავდევი ეს შედგენილი სტატია შემდგომის წლისათჳს, რადგანაც ჯერ უნდა მე გამომეცადნა ბანბის დათესვა და მოვლა.

ამ ჩემის სტატიით შევატყობინებ მკითხველებს, თუ ერთის დესიატინის მიწითგან, რამდენი გამოდის ბანბის ჰარკი, რა ღირსებისა და რა გვარი მოვლა ესაჭიროება:

ბანბის ჯინში სხჳა და სხჳა გვარი არის, ასე რომ ბანბა განიყოფება ღირსების და წოდების მიხედვით ხუთ

გვარად; ზოგნი ერთნი ამბობენ თექვსმეტის გვარისა არის ბანბაო და ზოგნი ოც გვარადა სთვლიან; თითქმის ზოგი მსწავლული ამტკიცებს, ვითომც ბანბა იყოს ასის გვარისა. ანგლიაში ის მსწავლული მიაჩნიათ მცოდნეთ ამ საქმეში, რომელიცა იძახის ბანბა ას გვარის ჯინშისა არისო.

პირველის ჯინშის ბანბას უწოდებენ ბალასჟულს და ერთ წლოვანს. ის იზრდება ოთხითგან ექჳს ფუტ სიმაღლემდინ, ფერი აქჳს ყვითელი, თავი ღეროსი არის მოკლე და დაფარებულია მოყომრალო ბურტყლითა; ამ გვარი ჯინშის ბანბა შეხვდება კაცსა აზიაში, საკელდობ ინდოეთში, ჩინეთში; არაბისტანში, სპარსეთში, პატარა აზიაში და აგრეთვე ევგიპტეში.

მეორეს ჯინშის ბანბას ეწოდება ხისგვარედი, ანუ მრავალ-წლოვანი. ეს ბანბა იზრდება სიმაღლით თხუთმეტითგან ოც ფუტამდინ, ფერით არის წითელი, მირი აქჳს ყვითელი და როგორც პირველ ჯინშისას, თავი დაფარებული აქჳს მოყომრალო ფერის ბურტყლითა, ამ ჯინშის ბანბა შეხვდება კაცსა ინდოეთში, ჩინეთში, არაბისტანში და ევგიპტეში.

მესამეს ჯინშის ბანბას ეწოდება შარბადენის ჯინშისა, რომელიცა იზრდება ექჳსითგან თხუთმეტ ფუტ სიმაღლემდინ, ფერი აქჳს ყვითელი, თესლეულობა შავი, ლიპი და გაირჩევა პირველის ჯინშისაგან ამით, რომ თავი არა აქჳს დაფარებული მოყომრალო ფერის ბურტყლითა, ამ ჯინშის ბანბა მრიელ მვირათა ფასობს

ანგლიის ბაზრებში. ეს ჯინშის ბანბა გადმოტანილი არის, როგორც თჳთ სახელის წოდება გვიმტკიცებს ბარბადენის ნახევარ-კუნძულითგან, ეს ნახევარ კუნძული ეკუთვნის ინდოეთის არხიპელაგსა და მდებარეობს მახლობლად სამხრეთის ამერიკისა. როდესაც გადმოიტანეს ამ ჯინშის ბანბა ამერიკაში, აქ ისე კარგათ ივარა, რომ ძრიელ გახშირდა ამ ჯინშის ბანბის მოყვანა ახლა იმ ქუეყანაში, ახლა კიდევ ამ ჯინშის ბანბა იყოფება კიდევ რამდენიმე ნაწილებად ღირსების მიხედვით, ასე რომ ევროპაში მამულის პატრონები უწოდებენ ნიოორლიანის ჯინშისას, მობილეს, უპლანდს, დემერერა, ბერბიცე, ვესტ-ინდოეთის ბანბა და სხუა.

მეოთხეს ჯინშისას ეწოდება პერუვიანის ჯინშის ბანბა. ეს იზრდება სიმაღლით ათითგან თხუთმეტ ფუტამდინ და აქუს დიდი პრტყელი ფოთოლი, ფერი აქუს ყვითელი, თესლი არის გრძელი და პრტყელი, ამ ჯინშს ეკუთვნიან, ყველა ჯინშის ბანბები, რომელთაცა სთესამენ და მოჰყავთ სამხრეთის ამერიკაში, სადაცა უწოდებენ: ბახიას, პერნამუკას, მარანგას, მაჩეიოს და სხ.

ბანბა იმ გვარი მცენარე არის, რომ არ უყვარს ნოტიო ადგილი და ამისათჳს უნდა დაითესოს მშრალ მიწაზედ. ამასთანავე უნდა ცხელი ზაფხულის დღეები.

თუ წვიმიანი დღეები დაუდგა ბანბას, ძრიელ იზრდება, მაგრამ ცოტა ბანბა გამოდის აქედან, ამას გარდა ღირსებითაც ვერ გამოდის კარგი, არ არის მაგარი ისე, როგორიც კარგი და მაგარი გამოდის გვალვიან ზაფხუ-

ლში. თუ რომ ხშირათ იწვიმა იჳნისის და •გვისტოს თვეებში, მაშინ უეჭველია ერთ გვარი თეთრი ჭეჭელა არის, უნდა შეეხვიოს, რომელიცა მრიელ ახდენს ამ მცენარესა, ამას გარდა თუ წვიმიანი წელიწადი არის, ბალახი შიგ ბანბის შუა მრიელ მალმალე მოდის და ამისათჳს მალმალე დათოხნა ეჭირება. წვიმიანს ზაფხუ-ლში გვიანაც შემოდის ბანბა, მინამ გვალვიან ზაფხუ-ლში.

თუმცა მშრალი მიწა და გვალვიანი წელიწადი უჳა-რს ბანბასა, მაგრამ გაზაფხულზედ წვიმები მრიელ უ-ხდება, ამას გარდა, როდესაც ამოვა ბანბა ყოველ ორ კვირაზედ საჭირო არის წვიმა და ეს წვიმა იქამდისინ არის საჭირო, მინამდისინ ფოთოლი მირს დაჰფარავ-დეს, ამის შემდგომს თუ რომ მიწის ნიადაგი კარგი არის და ბევრი ქვიშა არ ურევია, ბანბას არ ეჭირება წვიმა. თუ რომ მიწის-ნიადაგი მეტი ქვიშიანი არის, მაშინ ორ კვირაში ერთხელ წვიმა დასჭირდება და თუ წვიმა არ არის, მორწყვა უნდა.—

ბანბის დათესა შეიძლება სხჳა და სხჳა გვარ მიწა-ზედ: მთიან ადგილში, დაბალ, ანუ ბარს ალაგებსა; მა-გრამ უნდა შიგა და შიგ შარები ჰქონდეს წყლის ჩასა-დგომათა, და მალე გასაშრობათა, თორემ თუ ნოტიოთ დარჩა რამდენიმე ხანს, მაშინ ეს მცენარე დაჭკნდება და მერე გახმება კიდეც.

თუმცა ბარ ალაგს ბანბა მრიელ იზრდება, მაგრამ ღირსებით ვერ მოდის ისე კარგი, როგორიც მოდის

მთიან ალაგასა. ამას გარდა ბარს ალაგს ბევრჯელ მიეცემა ბანბა მავნებელ შემთხვევასა, ხშირის წვიმების გამო, როგორც მოხდება ხოლმე კავკასიის მხარეზედ, რიონის მდინარის კიდეზედ მდებარე მამულებზედა.

იმ მიწის-ნიადაგზედ, რომელიცა არის სწორე და მშრალი, ბანბა იზრდება ძრიელ კარგათ და არცა საჭირო არის შარების გაკეთება, რომელიცა ზემოთ მოვიხსენიეთ.

თუმცა მთიან ადგილას ბანბას მეტი მოვლა დასჭირდება და მეტი ყურადღების მიცემა, მაგრამ ღირსებით კარგი მოდის და ბევრით უკეთესი ბარიან ალაგ დათესილ ბანბაზედა. —

რაზედაც ბანბა ითესება, ის მიწა უნდა იყოს ღრმათ მოხნული და ფონფელი, ამასთანავე უნდა იყოს თიხიანი და ცოტა ქვიშაც ერიოს. ერთი მხოლოდ ჯინშის ბანბა არის, რომელსაცა ეწოდება აილადი, — ეს არის პირველი ჯინშის ბანბა და ძრიელ ფასობს კიდეც მრთელს ეროპაში, ამას უყვარს ქვიშიანი ადგილი და ამასთანავე მლაშე: აილადი რომ დაითესოს ზღვის მახლობლად, ჩინებული რამ მოდის, რადგან მარილის წყალი ძრიელ უხდება.

რაც შეეხება შავს მიწასა, ეს მიწა არ უხდება ბანბასა, რადგანაც არ უყვარს ნოყიერი მიწა, ამ გვარ მიწაზედ ბანბა გვიან მოდის, ამასთანავე არც გამოსავალი აქვს და ცუდიც არის.

რაც ფონფელი მიწა იქნება, იმდენი უკეთესი არის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგანაც მზე უფრო თავისუფლათ გაუვლის. სულ პირველი-კი ის არის, რომ მალმალე უნდა გათოხნონ, რომ უბრალო ბალახი არ მოერიოს, რამდენიც უბრალო ბალახითგან გაწმენდილი იქნება, იმდენი ბანბა კარგი მოდის.—

როდესაც უნდა დაითესოს ბანბა, უნდა ჯერ მოიხნას,—თუ რომ ბარი ალაგი არის გუთნითა ღრმად და თუ მთა ალაგი არის, ჩუთითაც შეიძლება. მოხვნა საჭირო არის ხუთ ანუ ექვს ვერშოკზედ, რამდენიც ღრმად იქნება მიწა მოხნული, იმდენი უფრო მოსავალი მეტი მოვა.

ძალიან კარგი იქნება თუ ორჯელ მოხნამენ მიწასა, ერთხელ შემოდგომაზედ და მეორეთ გაზაფხულზედ. ამერიკაში ძრიელ ბევრი ბანბა მოჰყავთ და კარგათაც იციან ეს საქმე, იქ მიწას ძრიელ ღრმათა ხნამენ ასე, რომ ექჳსითგან რვა ვერშოკამდინ სიღრმეზედ, კარგათ უვლიან და მოსავალიც ჩინებული მოდის, ახლა ისე კარგათ შესწავლული აქჳსთ ეს საქმე რომ, რაც ადრე ბანბა მოჰყვანდათ, ათჯერ მეტი ახლა მოჰყავთ იმავე ზომის მიწაზედ.

(ზოგი მერე იყოს.)

ი. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონის-ძიება თუ როგორ დაიცვან ხე დალპობისაგან.

---

აქამდისინ, ხე რომ არ დამპალიყო და არ წახდენილიყო მალე, ხმარობდნენ გოგირდ-მჟავედის მარილსა, გამონახად რკინეულებისაგან ან თითბრისაგან, რომელშიაცა ურევდნენ კრეოზოტს და იმაში ავლებდნენ ხესა, ამ შემთხვევაში ხე ფერს იცვლიდა ასე, რომ თავის ნამდვილს ფერს ჰკარგავდა და სუნიც ცუდი ეძლეოდა, მაშასადამე შენობაში სახმარად არ იყო კარგი. ახლანდელს დროში, რომ ხე არ დალპეს და არ წახდეს ხმარობენ ტბის ხაშურს შემდგომის სახით: ტბის ხაშური უნდა მოიღონ და გახსნან წყალში, ეს წყალი უნდა აადუღონ, ამ ადუღებულს წყალში უნდა ჩასდვან ხე ათი საათითგან თორმეტ საათამდინ, თავის სიზრქის შესაფერად. ამის შემდგომს უნდა ამოიღონ ხე და გააშრონ ჰაერზედ, მერე კიდევ იმავე ტბის ხაშურს წყალში უნდა გაივლოს, მაგრამ მაშინ ადუღებული-კი აღარ უნდა იყოს ეს წყალი, უნდა იყოს შემტფარი. ამ მეორედ გავლების დროს ხე უნდა იდვას წყალში ხუთი საათითგან ექვს საათამდინ, რომლის შემდეგ ხე მზათ არის სახმარად. რომელიც ხე ზრქელი არის უნდა ჩაიდოს წყალში მანამ ცხელი არის; რომელიც ხე ტბის

საშრით გამოვლებული არის, ის ხე არც თავის ნამდვილს ფერსა ჰკარგავს და არც სუნი ემღვრევა, თუ რომა სურთ არა თუ ხე არ დალპეს, სისველეც-კი არ მუუდგეს, მაშინ უნდა ზემოთგან წაუსონ ლაქი, თუმცა ცოტათი ფერს იცვლის, მაგრამ ამითი მაინც არა წახდებარა.—

---

თვის ბოლოკის დათესის სარგებლობა.

საფრანგეთის მამულის მოვლის საზოგადოების მწევრი ვილმორენი, ამ საზოგადოებას უმტკიცებს, თუ ვითარსა სარგებლობასა მოგვცემს თვის ბოლოკის დათესვა. ის ანბობსო,—უნდა ვსთქუათ რომა, ყოველი ახალი მოგონილი საქმე მამულის შემუშავების შესახებ, ხარჯს დიდს მოითხოვსო, თუმცა მადლობა ღმერთსა, ახლა ჩუენი მამულის ჰპატრონები მიხვდნენ რომ იმდენით ფულით ვერას გააწყობენ, თუ საქმის ცოდნა არა აქვსთ და ამას გარდა არ იციან რა დროს რა მოიხმარონ. ვილმორენი იმედოვნებს რომ, მოსავალი მამულის ჰპატრონს ერთი ათად მიეცეს, უნდა იცოდეს თუ როგორ მოიქცეს დათესვის დროსა რისამე თესლისა.

თვის ბოლოკის დათესვა დიდათ სასარგებლო არის, თუ რომ ექნება კაცს ცოდნა, თუ როგორ და რა სახით დათესოს. ბოლოკის მეტის მოსვლა ვისაც უნდა, იმან უნდა დათესოს თესლი წყობით და არა გაბნევით, აქე-

დან ორი სარგებლობა წარმოსდგება,— ჯერ-ერთი ესა რომ ცოტა თესლი მოუნდება და მეორე ეს, რომ მოსავალი კარგათ და მეტიც მოვა.

ანგლიაში ბოლოკს ხშირათ სთესამენ და დიდი ყურადღებაცა აქვსთ ამის დათესვაზედ, ერთი გირვანქა თესლითგან ათი ფუთი მეტი ბოლოკი მოჰყავთ. გაზნევით რომ სთესამენ იმ დროს ბევრი თესლი ტყუილათ იკარგება და როდესაც წყობით ითესება, მაშინ არც თესლი იკარგება ტყუილათ და ჰაერიც თავისუფლათ უვლის და ნოყიერებაც მიწითგან მომატებული ეძლევა. ამას გარდა, თუ რომ უბრალო და მავნებელი ბალახი მოერევა, გათოხნაც ადვილათ შეიძლება და მამულის პატრონს ცუდ-უბრალოთ არ აწვალებს, ამის გამო თუთან ის ალაგიც, რომელზედაცა სთესიან ბოლოკი არის წმინდად გასუფთავებული, აქედან ცხადათ ხედავს მკითხველი რომ, წყობით დათესვა ბევრით უმჯობესი არის, მინამ გაბნევით დათესვა.—

მაშასადამე ვილმორენის რჩევით, წყობით დათესვის სარგებლობა ის არის, რომ ცოტა თესლი მიდის დათესვის დროსა, ბევრი მოსავალი მოდის და მინდორიც, რაზედაცა სთესია, გაწმენდილი არის ცუდ-უბრალოს ბალახისაგან.

---

## როგორ უნდა მოუარონ რომ ძროხას მუცელი არ წაუხდეს?

---

ვინც-კი მამულის პატრონი არის და ცოტათი მაინც ესმის საქონლის მოვლა, იმან კარგათ და ბეჯითად იცის თუ როგორ მავნებელი არის ძროხისათვის მუცლის წახდენა. ბევრი დაწერილა ამ საგანზედ და ბევრს უთქვამს თავისი შენიშვნა, მაგრამ ჯერ კიდევ აქამდისინ ამ საქმეზედ ცხადათ არა თქმულა-რა, ამისათვის ჩვენა ვფიქრობთ, რომ ეს ახალი ღონის-ძიება, რომ ძროხა დაიხსნან მუცლის წახდენისაგან, არ იქნება მომეტებული. ამ სტატიის დამწერს ბევრჯელ შეუნიშნავს, თუ რა მიზეზი ყოფილა, რომ ძროხას მუცელი წახდენია; წარსულს ზამთარში რამდენიმე ძროხას გომურში მუცლები წაუხდათ მაშინ, როდესაც რომ თავის დღეში იმ გომურში ამ გვარი არა მომხდარარა, ჩვენ გვეგონა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ ცუდს თივას უყრიდნენ ძროხასა, მაგრამ როდესაც ყურადღებით უყურეთ ამ საქონელს და ვნახეთ რომ რასაც თივას უყრიდნენ ძროხასა, მეორეს დღეს კაპლიც აღარა რჩებოდათ.—

ზოგნი ერთნი მსწავლულნი ფიქრობდნენ რომ, ვითომც მუცლის წახდენა იმისგან წარმოსდგება, როდესაც

ძროხა მომატებულს საჭმელსა სჭამს, ეს საჭმელი დააწვება საშვილოსნოს და რა ხნის მუცელმ[illegible] ემლევა, მალე წუდება და ძროხას მუცელი უხდება. ერთი მსწავლული ამტკიცებს, რომ ძროხას ცივი საჭმელი აჭამონ ზამთრივ მუცელი აღარ წაუხდებაო, ერთი მსწავლულიც ამტკიცებს, რომ ვითომც მუცლის წახდენა ამისაგანაც წარმოდგება, ვინც თეთრს იონჯას აჭმევს ძროხასაო.

ერთი მსწავლული არის საფრანგეთში, რომელსაცა ეწოდება როლოფი, იმას კარგათ ყურადღებით გამოუკვლევია ეს საქმე, აი რას ამბობს ისა: ერთს მამულში, ოკტომბრის თვეში, ერთის მამულის პატრონის საქონელს დაერივა მუცლის წახდენის სენი, ჯერ ერთს წაუხდა მუცელი, მერე მეორეს ძროხასა, შემდგომს მესამესა,—მიჰყვა ესე და რაც რამ ძროხები იყვნენ, ყველას ერთიან მუცლები წაუხდათ, მაშინ როდესაც რომ მეზობლის ძროხები სრულებით უვნებელნი იყვნენ.—ეს უნდა ვსთქვათ, რომ როგორც საჭმელსაც აძლევდნენ ერთს გომურში, იმავე საჭმელს მეორე გომურში აჭმევდნენ. ამას გარდა გომურები იყვნენ წმინდათა და ფაქიზათ შენახულები. დიდს ხანსა სჩხრეკდა ამ საქმეს როლოფი, და ბოლოს დარწმუნდა, რომ მუცლის წახდენა სხჳა არაიყორა, თუ არ გადასადები სენი, როდესაც ერთს წაუხდა მუცელი, მაშინათვე განაშორა სხჳა ძროხებსა და ნახა რომ ეს სხჳა ძროხები გადარჩნენ მუცლის წახდენასა, აქედან ეს გამოიყვანა რომ, თურმე

მუცლის წახდენის დროს საშვილოსნოს მდინარეობისაგან, ედებოდათ სხჳა საქონელსაც ეს სენი და როდესაც მოაშორებდა, სხვებს აღარ ედებოდათ. ის გვარიგებს, ამ გვარი ზიანი როდესაც შენიშნონ საქონელში, უნდა გოგირდი აბოლონ, ან კირის წყლით უნდა მორწყან იქაურობა,—სულ პირველი ღონის-მიება-კი უფრო ის არის, რომ ავათმყოფი ძროხა განაშორონ საღის ძროხებისაგან.—

---

### თაგვების გაწყვეტის ღონის-მიება.

პირველი ღონის-მიება არის, ვისაცა სურს თაგვების გაწყვეტა როგორც სახლში, ისე მინდორში, ნახშირ-მჟავედის პარაშოკები, ეს ღონის-მიება ყველა ღონის-მიებაზედ უკეთესი არის, რადგანაც თაგვების მეტს სხჳას არასფერს არას ავნებს, ამისი მომზადება ასე არის, უნდა მოიღონ ფქვილი, შიგ აურიონ და ისე აზილონ, მერე დასჭრან და წვრილ-წვრილი გუნდები სოროს პირში ჩაუწყონ, ან კიდევ თუ მინდორში არის ორმოების პირში ჩააწყონ, ეს მომზადებული საწამლავი ძრიელა სწყვეტავს თაგვებს. ეს ამითი არის შესანიშნავი როგორც ზემოთაცა ვსთქვი, რომ სრულებით კაცს არ აზიანებს და არას ავნებს თაგვების მეტსა, ამისათჳს ურჩევთ მამულის პატრონებს, ვისაცა სურდეს თაგვების გაწყვეტა, ეს ღონის-მიება იხმარონ, კარგათ ვიცით სა-

ქართუჱლოში რა ზიანს აძლევენ თაგვები ყანებსა, ბევრჯელ შემოსული ყანა ისე გაუხდიათ, რომ ერთი დღიური მიწითგან, ორი კოდი პური მლივსღა აუღიათ, ჩუჱნი მამულის პატრონებს-კი არა ვითარი ყურადღება მიუციათ, ჩუჱნი მამა-პაპური ჩვეულება ეს არის, რომ ამ გვარებს ძრიელ ძნელათ მივცემთ ყურადღებასა. პირველი კაცის სანოვაგე პური არის და დიდად სათაკილოთ უნდა მივაჩნდეს, რომ ლუკმა გვიწუდებოდეს, ღონის-მიება წინ გვედვას და ვერ მოვეხმარებინოს.—

---

## ყვავისაგან სარგებლობის მოცემა.

---

ერთს პროფესორს გამოუკვლევია ყვავის ანატომია და ამ ფრინველის ღირსება კაცობრიობისათჳს, არ არის ეჭვი, რომ ყვავი დიდად სასარგებლო ფრინველი არის კაცისათჳს, ამ პროფესორს განგებ გამოძიებისა და გამოკვლევისათჳს გაუჭრია აპრილის, მაისის და იუნისის თვეში რამდენიმე ყვავი და უნახავს იმათი კუჭები, რომელნიცა ყოფილან სავსენი იმ მკალიებითა, რომელნიცა ძრიელ აოხრებენ მინდორსა, ბოსტნეულებასა და ხეხილებსა,—ახლა ეს ვიფიქროთ თუ რამდენი ყვავი და ყორნები არიან, რომელნიცა აწყობენ ჩუჱნ საზიანო მწერებსა. გარწმუნებთ, რომ ეს ფრინველნი არა ყოფილიყვნენ, იქნება მოსავალი მეათედიც არ აგვეღო.—ეს

ხომ ვიცით, როდესაც გუთნით იხვნება მინდორი, თუ როგორ შეუპოვრად და უშიშრად მისდევენ ყვავები და ყორნები გუთნის დედასა: ისინი ამ დროსა სჭამენ იმ მკალიებს და იმ ჯიანჭველებს, რომელთაცა ჭერის სახნისი მიწითგან, მიწის გადმობრუნების დროსა.—ეს მარტო-კი არ არის სათქმელი, აბა ავიღოთ მაგალითად ტარბი, რომელიცა არის მოსისხლე მტერი მკალიისა და ეს მკალია კარგათ ვიცით როგორიც მავნებელი არის მიწის მოსავალისა, რა არ უქნია მკალიას კაცისათჳს? რამდენჯერ ჩამოუგდია შიმშილობა ქუეყანაზედ, რამდენი საჴელმწიფო აუოხრებია. ტარბს იმისთანა სარგებლობა მოაქუს ჩუენთჳს, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი არის. აბა რომელი ჴელი უნდა შეეხოს და რომელმა ჴელმა უნდა გაბედოს იმ ფრინველის მოკვლა, რომელნიცა არიან ჩუენნი დიდნი შემწენი და დიდად სასარგებლონი.

ევროპის ერთს ქალაქში, რომელსაცა ეწოდება, ვორტენბერღი, ისეთი სასტიკი ბრძანება არის გამოცემული, ვინც სასარგებლოს ფრინველს დახოცავს, რომ კაცის კვლის დასჯას უდრის,—იქ ვინ გაბედავს და რომელი ჴელი შეეხება იმ ფრინველს, რომელნიცა სწყვეტენ მავნებელს მწერთა და მკალიებსა, არა გვანებულა ჩუენს საქართუელოს? ოღონდა-კი ჩუენმა კაცმა ნადირობის სურვილი მოიკლას, თორემ ის მავდენს არას დასდევს, თუნდა მავნებელი იყოს, თუნდა სასარგებლო, იმისთჳს სულ ერთი არის; იმას ხომ არა

ფიქრობს, თუ რა ზიანი არის ერთი უბრალო ჩიტის მოკვლა,—იმ ერთის ჩიტის მოკვლით, მრთელი დასტა ჩიტი ფრთხება და მკალიები-კი მრავლდებიან. ვის არ უნახავს გაზაფხულზედ, როდესაც ფრინველები გამოს-ჩეკენ ბღარტებს, თუ დედები რა მალმალე ეზიდებიან მინდვრითგან და ბაღეულობითგან მკალიებსა,—აბა ვის უნახავს როდისმე იმ დედას მიეტანოს თავის ბღარ-ტებისათჳს, ან ბალი, ან მსხალი, ან ვაშლი, რომლით ზიანი მიეცეთ, ისინი გვაშორებენ იმ მკალიებს, რომე-ლნიცა გვიხდენენ ვაშლსაც, მსხალსაც, ბალსაც და სხუა-საცა, მაშასადამე, ძრიელ უნდა უბრთხილდებოდეთ იმ ფრინველებს რომელნიცა არიან ჩუჱნთჳს დიდად სასა-რგებლონი.

ი. კ.

---

Дозволено Цензурою 1 Сентября 1870 г.
რედ. ი. კერესელიძე.